

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 17 სექტემბრის სხდომის

ოქმი №38

სტუ-ს სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოუდგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული საკითხების შესახებ სენატის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი) 23 წევრს მიეწოდა ინფორმაცია და გამოკითხვის წესით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს 2013 წლის ადმინისტრაციისა და შესაბამისად ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები, კერძოდ:

1. არაფინანსური აქტივების მუხლის, შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთების ხარჯებიდან 11 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების ხარჯების მუხლში;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 11 აპრილის №121823 წერილისა და 2013 წლის 10 აპრილის №122 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებას, გაიზარდოს ბიუჯეტი და განისაზღვროს 504 000 ლარით, ნაცვლად 442 500 ლარისა .

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაერთ ბიუჯეტში სახელმწიფო სტიპენდიებით დაფინანსების პროგრამა განისაზღვროს 504 000 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე